ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N29

ქ.თბილისი 1 ნოემბერი, 2018 წელი
$15^{45}$საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დავით უჯმაჯურიძე

ოთარ გრიგოლია - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ლევან დარახველიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები" თავმჯდომარის მოადგილე;

თევდორე ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ერეკლე კუხიანიძე - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

თინათინ ნიბლოშვილი - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ვლადიმერ ძნელაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები" თავმჯდომარე.

ქეთევან ჯოხაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სტრასბურგში მივლინებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 4-8 ნოემბერს მიემგზავრება სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სესიაზე დასასწრებად. მასთან ერთად, სტრასბურგში მიემგზავრებიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ბექა დავითულიანი და თამარ ტალიაშვილი. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მივლინების ხარჯებს აანაზღაურებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

**გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.**

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. 2018 წლის 4-8 ნოემბერს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სხდომაზე დასასწრებად, მივლინებული იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მასვე დაევალოს, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა და ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ბრძანების გამოცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი